

## მიშელ დე მონტენის ფილოსოფიური, ეთიკურ-აღმზრდელობითი და მეთოდური შეხედულებანი

ციური თარგამაძე

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრა

### ანოტაცია

*XVI საუკუნის ფრანგმა ფილოსოფოს-განმანათლებელმა მიშელ მონტენმა, რომელსაც ვოლტერის ენციკლოპედიისტების წინამორბედს უწოდებენ, თავისი ფილოსოფიურ-ეთიკური ნააზრევით პირადი შთაბეჭდილებების და ფრაგმენტების სახით გადმოგვცა მორალისტური ჟანრის მეთოდურ ნაწარმოებში-“გამოცდილებანი” /სამ წიგნად/. ამ წიგნით მან გზა გაუკვალა ინგლისელ ფილოსოფოს-ფრენსის ბეკონს, რომელთანაც ცდა, გამოცდილება მთავარი მეთოდი და რომლის “ახალი ორგანონი” დიდადაა დავალებული მისგან.*

*მონტენი თავის თავს სოკრატეს მიმდევრად თვლიდა, რადგან უპირველეს დანიშნულებად მიაჩნდა დაცვა მისი დევიზისა: “შეიცანი თავი შენი”.*

*მონტენის მიზანია ადამიანის შესწავლა საერთოდ. იგი ფილოსო-ფიურ-ეთიკურ შეხედულებებში ეხება ზოგად ადამიანს, რადგან მიაჩნია, რომ “ყოველი ადამიანი თავისთავში ატარებს კაცობრიობის ადამიანურ ბუნებას”.*

*“გამოცდილებანი” ადამიანს განიხილავს ფსიქოლოგიზმის და თვითნაწილის ფონზე. “მე ჩემს ხედვას მივმართავ ჩემს შიგნით” – ამბობს მონტენი და ცდილობს, ამ შინაგანი ხედვით ჩაწვდეს ადამიანური სულის მოძრაობას საერთოდ. მისი ფილოსოფიური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, სოკრატეს გარდა, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ეპიკურეს, სენეკას, პლუტარქეს ნაწარმოებებმა. მონტენის ეთიკურ მსოფლმხედველობაში ჩანს ცხოვრებისეული თავისუფალი აზროვნება, რომელმაც მოამზადა XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი.*

**საკვანძო სიტყვები:** მიშელ დე მონტენი, ფილოსოფიური, ეთიკური, აღმზრდელობითი, მეთოდური.

მონტენის შეხედულებებში წინა პლანზე დგას ადამიანის შესახებ მეცნიერული ინტერესი. მისი ზოგადი პრინციპების საყრდენია სკეპტიციზმი-დაეჭვება შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკის, მისი დოგმატური რიტუალების მიმართ. მონტენი ასკეტიზმს უპირისპირებს ეპიკურეისეულ მიწიერ სიხარულს. მისი მოწოდებაა: ადამიანი ეწაფებოდეს სიხარულს, რადგან ადამიანი მოკვდავია. საჭიროა შევიცნოთ ჩვენი თავი და იგი, როგორც ბუნების ნაწილი, წარვმართოთ ბუნების შესაბამისად. მონტენმა ბუნების კულტით ნიადაგი მოამზადა რუსოსათვის.

სენსუალიზმისაკენ მიდრეკილი ფილოსოფოსის აზრით. სხეულს დიდი ზემოქმედება აქვს გონებაზე. სხეულზე ყოველი მოქმედება მას მიაჩნია გონებაზე განსაკუთრებული გავლენის მომხდენად. მისი აზრით, “ქეციანი ძაღლის ნარწყევს, შემხეფებულს თუნდაც სოკრატეს ხელზე, შეუძლია დაღუპოს მისი სიბრძნე, დიდებულება და სიღმისეული იდეები”..., ხოლო ამ შემთხვევითობისაგან მისი

განთავისუფლება არ შეუძლია გონების არავითარ ძალას. ვერავითარი უნარები, სათნოებები, ფილოსოფიური გადაწყვეტილებანი ან ნებისყოფის დამაბზავ ვერ იხსნის ადამიანს ამ შემთხვევითობისაგან. როგორც ვხედავთ, ეპიკურეს მიმდევარი მონტენი დიდ როლს ანიჭებს აუცილებლობასთან ერთად შემთხვევითობასაც და სხეულებრივი მდგომარეობის დიდ გავლენას გონებრივ და სულიერ მდგომარეობაზე. “ტკივილი ერთნაირად ძლევს დიდ მოაზროვნეს და სულელს. მერე რა, რომ არისტოტელეს ჰქონდა გრანდიოზული აზროვნების და შემეცნების უნარი, განა მას ეს ათავისუფლებს ტკივილისაგან ან პოდაგისაგან?” – კითხულობს იგი. სტიოკურ ასკეტიზმს ახლა იგი უპირისპირებს ეპიკურესეულ მიწიერ ბედნიერებას და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სხეულის მიმართ.

ამასთან, მონტენი, სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებათა გადმოცემისას, ფსიქოლოგიურ ანალიზს წარმართავს იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ადამიანთა მსჯელობები უკიდურესად სუბიექტურია და დამოკიდებულია განცდების სუბიექტურობაზე, რომ ამ შინაგანი ბუნებით “თითოეული მჭედელია თავის ბედისა”, მაგრამ “ბედი თითქოს შუმისგანაა, იგი ბრწყინავს, როგორც შუშა და ასევე მსხვრევადაა”, რადგან “საოცრად არამგრადი არსებაა ადამიანი”...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონტენის აზრით, ადამიანის ბედი დამოკიდებულია თვით ადამიანზე, მაგრამ არა სავსებით, რადგან აქ საკმაოდ ხელისშემშლელია თვით ადამიანში მოცემული შინაგანი ცვალებადობის ფაქტი. მონტენი კითხულობს: როგორ შეიძლება ადამიანის ბედნიერება დამოკიდებული იყოს ადამიანზე, როდესაც იგი მუდამ, განწყვეტილ ცვალებადობას განიცდის. ერთიდაიგივე ადამიანიც კი ხან შემბრალებელია, ხან შეუბრალებელი, ხან დესპოტი და ხან გულგრილი. რომ “საოცრად მერყევი არსებაა იგი”.

ამ ფაქტის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ფრაგმენტები მაგალითისათვის, იგი გვიამბობს, რომ XII საუკუნის გერმანელი იმპერატორის კონრად III-ის ბრძანებით ქალაქი დამარცხებულ-დანებებული ადამიანებით სრულიად უნდა გაენადგულებინათ. მან თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმაზე, რომ ქალაქში ჩაკეტილ ქალებს მიეღოთ თავისუფლება. მათ შეეძლოთ, ფეხით გასულიყვნენ ქალაქიდან და საითაც სურდათ წასულიყვნენ. მისი მეფური სიტყვის თანახმად, შეეძლოთ აგრეთვე თან წაეყოლათ ყველაფერი, სულიერი თუ უსულო, რასაც კი ზიდავდნენ. მაშინ ქალებმა, ქალაქის კარებში გასვლისას, დააპირეს ქმარ-შვილთან ერთად ჰერცოგის წაყვანაც, რათა ესარგებლათ იმპერატორის სიტყვის ძალით და სიკვდილისაგან ეხსნათ იგი. აქამდე მტკიცე და დესპოტი იმპერატორი კინაღამ ატირდა იმ საცოდავ-სასაცილო სანახაობით, (როცა ქალები, უმწეობისა და უხერხულობის მიუხედავად, ზურგზე აკიდებით, ერთგულად ცდილობდნენ მამაკაცთა გადარჩენას) და შეიწყალა განურჩევლად ყველა. აქ მონტენი ხაზს უსვამს ადამიანის ხასიათის ცვალებადობას ერთიდაიგივე საგნის თუ მოვლენის მიმართ (ხან დესპოტი, ხან შემბრალებელი დამოკიდებულების გამოვლენას) და იზიარებს სტოელთა თვალსაზრისს, რომ შემბრალებლობა ღირსეული გრძნობაა.

ადამიანური ხასიათის ცვალებადობის დასასაბუთებლად მონტენი იხსენებს პომპეუსსაც, რომელმაც, საერთოდ ცნობილმა უმკაცრესი დისციპლინით, მტრებით სავსე ქალაქი დაინდო მასში ერთი კაცის ფილოსოფოს-ზენონის ყოფნის გამო. ხოლო ალექსანდრე მაკედონელმა, რომელიც ჩვეულებრივ შემბრალებელი ხასიათისა იყო, ქალაქ გიზოს დაპყრობისას, სისხლისგან დაცლილ, ჯარგანადგურებულ სარდალს – ბეტისს, მარტოდმარტო რომ განაგრძობდა თავდაცვას, ასეთი წამება არგუნა: ბრძანა,

დაეჩხვლიტათ მისთვის თითები, გაეყარათ თოკი და ეთრიათ. ამრიგად – დაასკვნის მონტენი, როგორ შეგიძლია იფიქრო, რომ ზნეობრივი ადამიანი დაიმსახურებს ბედნიერებას, /როგორც ეს ანტიკურ ეთიკოსებს სჯეროდათ/, როდესაც, განუწყვეტელი ცვალებადობის გამო, ადამიანის ზნეობაზე არ შეგიძლია ერთი აზრის შექმნა. რომ “საოცრად არამდგრადი, ჭეშმარიტად ცვალებადი და მუდამ მერყევი არსებაა ადამიანი, ძნელია მასზე მტკიცე, ერთგვაროვანი წარმოდგენის ჩამოყალიბება”.<sup>1</sup>

სიცოცხლისეულ სიამოვნებებისაკენ ეპიკურეისტული მისწრაფება მონტენს უარყოფითად განაწყობს სევდის მიმართ. იგი ეთანხმება სტოიკოსებს /განსაკუთრებით სენეკას/, რომლებიც ბრძენს უკრძალავდნენ სევდიანობას, დიდ გულჩათხრობას, დარდს.

მონტენის აზრით, ბედნიერებას მრავალი გამოსახვის ფორმა აქვს, უბედურებას კი ერთი: გაქვავება. ამის დასასაბუთებლად იშველიებს ასეთ მაგალითს: ეგვიპტის მეფე – ფსამენიტი ტყვედ ჩაუვარდა სპარსეთის მეფე – კამბიზს. ფსამენიტმა დაინახა, რომ მონა ქალის ტანსაცმელით შემოსილ მის ასულ მბრძანებელთან მიჰქონდა წყალი. ამის დანახვაზე მისი მეგობრები ატირდნენ, ფსამენიტმა კი თითქოს მშვიდად თვალი ჩაასო მიწას და არცერთი სიტყვა არ დასცდენია. ასევე მოიქცა იმ წუთებშიც, როცა დაინახა, რომ მისი ვაჟი სიკვდილით დასასჯელად გაიყვანეს. მხოლოდ მაშინ, როცა ერთ-ერთი მასთან დაახლოებული პირი ტყვეთა შორის ჩაატარეს, დაიწყო ტირილი და თავში ცემა. შეკითხვაზე, თუ რატომ განიცადა მესამე შემთხვევა, როცა შვილების მდგომარეობის დანახვისას ხმა არ ამოუღია, მან უპასუხა: “-იმის გამო, რომ მხოლოდ ეს – მესამე სიმწარე შეიძლებოდა გამოხატულოყო ცრემლებით, იმ უბედურებისათვის კი, რომელიც თავს დამატყდა წინა ორ შემთხვევაში, არ არსებობს გამოხატვის არავითარი საშუალება”.

მონტენის აზრით, ბედნიერებასაც და უბედურებასაც თავისი გარკვეული საზღვრები გააჩნია. ამ საზღვრის გადალახვის შემდეგ ადამიანის განცდა გაქვავებაში, გახევებაში გადადის. ამგვარი გაქვავების ფსიქიკური წვდომის ნიმუშია ალბათ ნეობას მითი, იმის შესახებ, რომ შვიდი ვაჟის და შვიდი ასულის დაღუპვით Yგანადგურებული მითიური ნეობა კლდედ გადაიქცა, გაქვავდა. ამ მდგომარეობის სირთულის ახსნის ნათელსაყოფად მონტენი იშველიებს ასეთ ანალოგიას: მხატვარი ტიმანეტე გადაწყვეტს, დახატოს უდანაშაულო ასულის სიკვდილით დასჯისას მისი ახლობლების სახეები. მშობლის ტანჯვის გამოხატავის საშუალებად მას მოუფიქრებია, რომ მამის მდგომარეობა ეჩვენებინა სახეზე ხელის აფარებით, რადგან სასოწარკვეთილების იმ უსაზღვრო განცდის გამოხატვა შეუძლებლად ჩაუთვლია. “ეს სახეები გვიჩვენებენ იმ წყვილიადს, უთქმელ, დაყრუებულ გაშეშებას, რომელიც გვეუფლება, როცა ჩვენს ძალებს სძლევენ აღმატებული უბედურებანი” – ამბობს მონტენი – “გამოცდილებათა” II თავში.

მონტენი გვეუბნება, რომ ასევე გვახევენს ხოლმე ადამიანის მოულოდნელი ბედნიერებაც და მოჰყავს რომელი ქალის მაგალითი, რომელიც გარდაიცვალა ომიდან მოულოდნელად დაბრუნებული შვილის დანახვისას. მრავალი ამგვარი მაგალითის მოყვანით მონტენი იცავს იმ მოსაზრებას, რომ ზომიერად დასულ ბედნიერებასაც და უბედურებასაც ერთი და იგივე შედეგი – გაქვავება ან ელდა მოჰყვება. ამიტომ გვირჩევს, არ მივეცეთ არც უზომო ბედნიერების სიხარულს, არც უზომო უბედურების სევდას, არამედ საჭიროა, ბრძნული სიმშვიდით, ზომიერებაში ვიცხოვროთ. იგი იწონებს დემოკრიტეს, ეპიკურეს, ლეკრეციუსის ევდემონიზმს, ბუდისტების “ნირვანას”, “ატარქასიას” – სულის უშფოთველობის პრინციპს, სიკვდილის შიშისა და მღელვარების დამღვევის გზას.

ფრანგი ფილოსოფოსის მონტენის აზრით, ჩვეულებების დიდი გავლენა აქვს ადამიანის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე. იგი გვახსენებს, რომ ჩვეულებისაგან თავის დაღწევა ძნელია, ამიტომ ჩვეულებანი უნდა გავხადოთ სამართლიანი და სპეტაკი. “არ არსებობს უფრო შეუწყნარებელი და ვერაგი მასწავლებელი, ვიდრე ჩვენი ჩვეულებაა. თანდათან, ნელ-ნელა გამეფდება იგი, ფესვს გაიდგამს ჩვენში, ვიდრე არ ჩამოიძრობს საფარველს თავისი დესპოტი სახიდან, როცა უკვე თვალს ვეღარ გავუსწორებთ მას”...“ბავშვები როცა ეჩვევიან ძაღლის, კატის წვალებას, ან ამასხარავებენ ამხანაგს, აქ ეყრება საფუძველი სისასტიკეს, ძალადობას, გამყიდველობას, აქ იდგამს ფესვებს ჩვეულება. ბავშვებს ვასწავლოთ, მოერიდონ ამას არა მარტო საქმეებში, არამედ გულშიც”.<sup>2</sup>

ამიტომ მოგვიწოდებს მონტენი ჩვეულებათა აღზრდისაკენ. “გამოცდილებათა” XXVI თავი შესანიშნავი მოძღვრებაა ადამიანის ზნეობრივ-ინტელექტუალური აღზრდის შესახებ. მონტენის აზრით, სწავლის დროს ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ადამიანი “სულით ჩაწვდეს ძველ ბერძნებს და არ გაიზეპიროს ისინი.. დე, ნუ შეეშინდება იმის დავიწყების, თუ სად ამოიკითხა ეს ბრძნული აზრები, ოღონდაც ისინი მის კუთვნილებად იქცნენ. ფუტკრებიც ასე აგროვებენ თავლს ყვავილებიდან. თავლია მათი შემოქმედება...ვიცოდეთ ზეპირად, ეს არ ნიშნავს ცოდნას. ეს ნიშნავს, შევინახოთ ის, რაც ჩავგაბარეს შესანახად... როგორ შეიძლება ისწავლო მაღალი აზროვნება, თუ არ ივარჯიშე გააზრებებით?”<sup>3</sup>

ამრიგად, მონტენი სწავლებისას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მსჯელობისა და აზროვნების უნარის განვითარებას, წინააღმდეგია სწავლაში დოგმატური და სქოლასტიკური მიდგომისა. პლატონისა და არისტოტელეს მსგავსად, იგი ფიქრობს, რომ საჭიროა ადამიანს შეურჩიოთ სამოღვაწეო ადგილი მისი სულის უნარების შესაბამისად. “ვასწავლოთ მხოლოდ აუცილებელი, ზედმეტის გარეშე. არ მინდა ბავშვი იყოს თავისუფლებადაკარგული, 14-15 საათი შრომობდეს, თითქოს ტვირთის მზიდავი იყოს. თუ ბუნებით გულჩათხრობილია და წიგნებში ჩავკეტეთ, გადაეჩვევა ადამიანებთან ურთიერთობას”<sup>3</sup> - გვასწავლის იგი.

მონტენის აზრით, თუ გვინდა სრულყოფილი, ბედნიერი ადამიანი ჩამოვაყალიბოთ, მასთან “სწავლება უნდა ათავსებდეს სიმკაცრეს და სილბილეს, და არა საშინელება-სისასტიკეს. უარი თქვით ძალადობაზე, თუ გინდათ ბავშვს ემინოდეს სირცხვილისა და დასჯისა მიაჩვიეთ ოფლს, ქარს, სიცივს და პაპანაქებას, მიაჩვიეთ ყველაფერს და არა სისასტიკეს. შეიძლება განა, ყვირილითა და მათრახით მოეპყროთ ამ ნაზ სულეს – ბავშვებს?” მონტენი აქ იშველიებს პლატონის “კანონებს”, “სახელმწიფოს”, სადაც მოზარდებს აჩვევენ აგრეთვე მხიარულებას და გართობასაც და წინააღმდეგია ძალადობის, სისასტიკის მეთოდებისა.

II წიგნის VIII თავში მონტენი ამბობს: “მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ძალადობისა იმ სულისადმი, რომელიც მოწოდებულია თავისუფლებისა და პატიოსნებისათვის. სიმკაცრეში და იძულებაში კი არის რაღაც მონური და მე მგონია, რასაც ვერ მიაღწევ გონებით და ცოდნით, ვერ მიაღწევ ვერც ძალადობით”.

კაცთმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ფილოსოფოსი მოგვიწოდებს /მოაზროვნე – განსმჯელი თაობის აღზრდის მიზნით/ სწორი აღმზრდელობითი მეთოდების გამოყენებისაკენ. აზროვნებისა და მსჯელობის უნარის გარდა, მას აუცილებლად მიაჩნია, მოზარდებში და ახალგაზრდებში განვავითაროთ მხიარულობის უნარიც. ხოლო სწავლა უნდა იყოს გააზრებული, რომ იგი გამოიყენოს არა ზეპირობაში, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაში. “მაშინ გამოჩნდება, იყენებს თუ არა მოქმედებაში

სამართლიანობას და სიკეთეს, ჭკუას სიტყვებში, ამტანობას ავადმყოფობაში, თავშეკავებას გართობაში, ზომიერებას სიამოვნებაში”.<sup>3</sup>

ადამიანის ბედნიერების პირობად მას მიაჩნია მეგობართა ყოლა. საერთოდ, პიროვნების ზნეობრივ ფორმირებაში იგი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს აღზრდის გარემოს და აკეთებს ასეთ დასკვნას: “ადამიანს ქმნიან სხვა ადამიანები”. / IIIწიგნი I თავი / “გამოცდილებათა” სამ ტომში მონტენი გადმოგვცემს ფილოსოფიურ, ლიტერატურული ჟანრის ესკიზებს, თქმულებებს, მითებს, ისტორიულ ამბებს, როგორც კონკრეტულ ფაქტებს ზოგადი დასკვნების გამოსატანად. იგი ხშირად, წამოაყენებს განზოგადოებულ თვალსაზრისს და შემდეგ მის დასასაბუთებულად მოჰყავს კერძო მაგალითები ანუ ხან ინდუქციურ მეთოდს იყენებს, ხან დედუქციურს, რათა მკითხველს თავისი აზრი დასაბუთებულად მიაწოდოს. მისი შრომა “გამოცდილებანი” იყო პირველი თხზულება მაშინდელი საფრანგეთის ეთიკურ-მეთოდური ლიტერატურის სფეროში, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა XVI-XVII საუკუნის მიჯნაზე. მან დიდი გავლენა მოახდინა შ.მონტენსკიეზე, საფრანგეთის განმანათლებლებზე, ფილოსოფოსებზე, განსაკუთრებით ჟან ჟაკ რუსოზე. იგი ქადაგებდა ჰუმანისტურ იდეებს და გზას უკვალავდა თავისუფალ აზროვნებას ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. ამასთან აკრიტიკებდა საერთოდ ადამიანურ სისასტიკეს, ცინიზმს, ვერაგობას, რომელიც ახასიათებდა მის თანამედროვე საზოგადოების უმეტესობას.

ჩვენთვის იგი განსაკუთრებით საინტერესოა თავისი მეთოდიკით: ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენებით ის გვიჩვენებდა მაგალითებს როგორც მორალურისა და არამორალურის დაპირისპირებას. მონტენი მომხრეა ადამიანის ცხოვრებაში ბუნებრიობით, უშუალოებით, გულწრფელობით და სისადავით მოქმედებისა, ცივილიზაციის მიერ ადამიანის შინაგანი ბუნების ვერდათრგუნვისა.

ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით საჭიროა ლექციებზე ეთიკის საგნის სწავლებისას ფართოდ იქნას გამოყენებული მონტენის “გამოცდილებათა” სამივე ტომი მისი აზრებისა და მეთოდების გაზიარების თვალსაზრისით.

აღორძინების ხანის ამ შესანიშნავი მოაზროვნის – მონტენის ფილოსოფიურ და ზნეობრივ – აღზრდელობით შეხედულებებს განსაკუთრებით აფასებდნენ ფრანგი მატერიალისტები და განმანათლებლები.

ვოლტერის სიტყვით, მონტენი “თავისი თავის მაგალითზე გვიჩვენებს ჩვენს ადამიანურ სისუსტეებს და ახირებულობებს. ესაა ადამიანი, რომელიც ეყვარება ყველა დროის ყველა ადამიანს”.

### გამოყენებული ლიტერატურა:

<sup>1</sup> М.Монтень – «Опыты» кн I стр. 13-14

<sup>2</sup> М.Монтень-Опыты-стр. 189

<sup>3</sup> М.Монтень – опыты – стр. 189-190